ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 90-94

19 ნოემბერი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 03/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016389) და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ.ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „გ.გ" და „გ.დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.გ) №№16, 38, 124, 208 მარშრუტებზე – 0,6 ლარის ოდენობით;

გ.დ) №№7, 42, 53, 80, 182 მარშრუტებზე – 0,5 ლარის ოდენობით;";

გ) „გ.ე" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) „დ.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.გ) №87 მარშრუტზე – 0,6 ლარის ოდენობით;";

ე) „ე.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.დ) №№ 5, 28, 54, 55, 70, 71, 84, 91, 95, 103, 105, 113, 119, 155, 156, 162, 185, 189, 190, 191, 199 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;“;

ვ) „ე.ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ახვლედიანი